

განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
„გარემოს დაცვის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს მოქმედი კანონით გათვალისწინებული საგამოძიებო დეპარტამენტის, ინსპექციისა და ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახურის რეორგანიზაციის პროცესის დასრულების კანონით გათვალისწინებული ვადის (კანონში მითითებულია 2010 წლის 1 იანვრამდე) გადაწევა.

რეორგანიზაციის ვადის გადაწევის მიზეზს, წარმოადგენს გადაწვეტილება, რომლის შესაბამისადაც მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, აღარ მოხდეს ზემოხსენებული 3 სამსახურის გაერთიანება, რისთვისაც საჭიროა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს შესაბამისი საკანონმდებლო პაკეტის დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმება და მისი საქართველოს პარლამენტის მიერ მიღება შესაძლოა ვერ განხორციელდეს 2010 წლის 1 იანვრამდე.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია საგამოძიებო დეპარტამენტის, ინსპექციისა და ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახურის რეორგანიზაციის დასრულებისათვის კანონით გათვალისწინებული ვადის (რომელიც განსაზღვრულია 2010 წლის იანვრამდე) გადაწევა 2011 წლის 1 იანვრამდე.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის შესაბამისად ცვლილებები შედის „გარემოს დაცვის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-6 პუნქტში და 24-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში, რომელთა თანახმადაც კანონში მითითებული თარიღი 2010 წლის 1 იანვარი იცვლება 2011 წლის 1 იანვრით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით, აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

პროექტის მიღება არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

პროექტის მიღება არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები;

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

კანონპროექტის მიღება არ იწვევს რაიმე ცვლილებას ფინანსური შედეგების თვალსაზრისით იმ პირობებთან მიმართებაში, რომლებზეც ვრცელდება ამ კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

კანონპროექტი არ ადგენს რაიმე სახის გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ახალ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები;

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულებების ექსპერტებს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

წარმოდგენილი პროექტის შეფასება დაწესებულებების ან/და ექსპერტების მხრიდან არ მომხდარა.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი;

საქართველოს პარლამენტის წევრი გიორგი იმნაძე.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი;

საქართველოს პარლამენტის წევრი გიორგი იმნაძე.